საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1643

15/12/2021

ქ. თბილისი

ქ. თბილისში შპს „პოლიკორპის“ პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) ტექნოლოგიური ხაზის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.3. ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ქ. თბილისში შპს „პოლიკორპის“ პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) ტექნოლოგიური ხაზის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N62 (10.12.2021);
2. შპს „პოლიკორპმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N62 (10.12.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „პოლიკორპს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „პოლიკორპის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გლდანის რაიონის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

ლევან დავითაშვილი

მინისტრი